ტფილისი

მეფე ლომკაცმა, თუ მგელკაცმა დაგარტყა კვერთხი
და ჩემ წამებად შენ აღსდექი ქვეყნად, ქალაქო,
ბევრი ვაჟკაცი გალავანთან შემოიფერთხე,
მეც მინდა, გული სისხლის ლექსად შემოგალაქო.
მეც მიმინო ვარ, გოგირდის ტბას შენ რომ ჩაფალდ,
მეც სიკვდილამდე წყურვილისგან მიშრება პირთ.
ვიცი, სხვა ღმერთზე უწყალოა ქართლის უფალი,
მაგრამ მისი ვარ სამუდამო მე ოქროპირი:
ვიცი, გიცავდენ მეციხოვნე მორკინალები,
ვიცი, ძვლებიდან ამდგარია შენს ახლო მთები,
ვიცი, გთელავდნენ ყიზილბაშის ცხენის ნალები
და წაუჭრიათ ტაძრებისთვის ხმლებს გუმბათები.
თათრების სისხლით მეწამული გამხდარა მტკვარი
და როგორც მოსეს – სააკაძეს ხმლით გაუკაფავს:
გილეწდა კალოს ბავშვებისას თათრის ყევარი,
მიტომ ვერ გვნდვნენ თამარ მეფის შენ ძვირფას საფლავს.
ბებერი ძვლები ირაკლიმაც ძლივს გაიტანა,
სული დამარხა ნარიყალას გამსკდარ ბასტიონს,
მესამე უნდა საქართველოს ზღვა შავ ზღვისთანა
მარაბდის ველზე ვაჟკაცური ქართლი დასტიოს.
ვერ გიბედავდა რუსთაველი პირისპირ შებმას,
ვერც სხვა პოეტმა შენ აქამდე ლექსით ვერ გაქო
და უფრთხის ყველა სამუდამო შენ სისხლის ემბაზს.
ვაჟკაცობისთვის გამნწირულო, ძველო ქალაქო!..
თავი შეგაკლა საიათნოვამ, უცხო სომეხმა,
გემრიელ წყალით ნაქებია ძველადვე მტკვარი,
და თუ შენ ახლა პოეტისგან მოგესმის შესხმა,
ეს გედი მღერის – ყელწაჭრილი და ცოცხალმკვდართ.
მე ვარ მიმინოა ხახამშრალი და კაპოეტი,
მე ვარ ტფილისის აგონიით მკვდარი პოეტი...